


თემა 4. გრაფიკული რედაქტორი Paint. მენიუს მიმოხილვა, სახატავი ინსტრუმენტები, ტექსტი ნახატზე, ფრაგმენტის გამოყოფა, ოპერაციები გამოყოფილ ფრაგმენტზე, გრაფიკული ფაილის შენახვა და გახსნა.

მარტივი ტექსტური რედაქტორი WordPad. მენიუს მიმოხილვა, ფაილის შექმნა, რედაქტირება, ფორმატირება, ბეჭდვა, შენახვა, გახსნა.

Windows-ის სტანდარტული პროგრამა **Paint** გვამღებს გრაფიკული ობიექტების - ნახატებისა და ნახაზების - შექმნის საშუალებას. შევასრულოთ ბრძანება **Start → Programs → Accessories → Paint**. ეკრანზე გამოვა ფანჯარა სათაურით **untitled - Paint**.



Windows-ის სტანდარტული ფანჯრის ისეთ ელემენტებთან ერთად, როგორიცაა სათაურის ზოლი, ჩამოშლადი მენიუს ზოლი და საინფორმაციო სტრიქონი, ამ ფანჯარაში გათვალისწინებულია მისთვის სპეციფიური ელემენტები: ინსტრუმენტების პანელი, ფერთა პალიტრის პანელი და სამუშაო არე.



ფერთა პალიტრის მარცხენა ნაწილში მოთავსებულია ორი კვადრატის ზომის პლანზე გამოტანილი კვადრატის შეფერილობა განსაზღვრავს ნახატის (ნახაზის) მიმდინარე ფერს, ხოლო უკანა პლანის კვადრატის ფერი - ფონის ფერს. **Paint**-ის გაშვებისას მიმდინარე ფერი (მას აგრეთვე უწოდებენ ძირითად ფერს) შავია, ხოლო ფონის ფერი - თეთრი. ძირითადი ფერის შეცვლა ხდება პალიტრის საჭირო ფერზე მაუსის მარცხენა ღილაკის დაწკაპუნებით. ფონის ფერი რომ შევცვალოთ, პალიტრის საჭირო ფერზე უნდა დავაწკაპუნოთ მაუსის მარჯვენა ღილაკი. თუ სამუშაოდ ავირჩევთ მაუსის მარცხენა ღილაკს, ხაზების, მრუდებისა და გეომეტრიული ფიგურების ხატვა, ტექსტის აკრეფა, ფუნჯით ხატვა, ჩაკეტილ არეებში ფერის ჩასხმა ხდება ძირითადი ფერით. თუ კი ავირჩევთ მაუსის მარჯვენა ღილაკს, მოქმედებს ფონის ფერი.

Paint-ის ინსტრუმენტების პანელზე განთავსებულია:

ფანქარი. ფანქრის არჩევა ხდება ინსტრუმენტების პანელიდან  ღილაკზე დაწკაპუნებით. შენდეგ მაუსის კურსორი უნდა დავაყენოთ სამუშაო არის იმ წერტილში, საიდანაც ვაპირებთ ხატვის დაწყებას, დავაჭიროთ მაუსის მარცხენა ღილაკს და ისე (თითის აუღებლად) მაუსის მაჩვენებელის გადაადგილებით

დავიწყით ხატვა. ამ შემთხვევაში ფანქარი ხატავს ძირითადი ფერით. თუ ფანქრის არჩევის შემდეგ დავაჭერთ მაუსის მარჯვენა ღილაკს და ისე გავატარებთ მაუსის კურსორს სამუშაო არეში, ფანქარი დახატავს ფონის ფერით.

ფუნჯი. ამ იარაღის შესაბამისი ღილაკია . მისი არჩევა და მასთან მუშაობა სრულდება ფანქრის მსგავსად. განსხვავება ისაა, რომ შეიძლება ავირჩიოთ ფუნჯით გავლებული ხაზების სისქე და სტილი: ფუნჯის არჩევისას ინსტრუმენტების პანელის ქვედა ნაწილში გააქტიურდება სტილის ასარჩევი დამატებითი საშუალებები.

საშლელი. საშლელის ღილაკია . მისი გააქტიურების შემდეგ შეიძლება ავირჩიოთ საშლელის ზომა. თუ საშლელს გავატარებთ ნახატის ან ნახაზის რომელიმე დეტალზე, იგი შეიცვლის ფერს ფონის ფერად, ანუ წაიშლება.

პიპეტი. პიპეტი  გამოიყენება ნახატში არსებული ფერის კოპირებისათვის. თუ გააქტიურებულ პიპეტს დავაყენებთ ნახატის რომელიმე ფერად დეტალზე და დავაწკაპუნებთ მაუსის მარცხენა ღილაკს, ძირითადი ფერი შეიცვლება არჩეული დეტალის ფერით. თუ კი დავაწკაპუნებთ მაუსის მარჯვენა ღილაკს, შეიცვლება ფონის ფერი.

აეროზოლის ბალონი. აირჩევა  ღილაკზე დაჭერით. სამუშაო არეში მაუსის ღილაკზე დაწკაპუნებით მიიღება მისხურების ეფექტი.

საღებავის ქილა  უზრუნველყოფს ჩაკეტილი კონტურის შევსებას ფერით.

სწორი ხაზი . ამ იარაღთან მუშაობა სრულდება ფანქრის მსგავსად იმ განსხვავებით, რომ იხატება სწორი ხაზი. ინსტრუმენტების პანელის ქვედა ნაწილში შესაძლებელია ხაზის სისქის არჩევა.

მრუდი. შესაბამისი ღილაკია . სამუშაო არეში პირველად აიგება სწორი ხაზი. დავაყენოთ მაუსის კურსორი სწორი ხაზის იმ წერტილში, სადაც უნდა მოხდეს მისი გამრუდება, დავაჭიროთ მაუსის მარცხენა ღილაკს და ისე გადავადგილოთ მაუსი საჭირო მიმართულებით. ყოველი წირისთვის გამრუდების ოპერაცია შეიძლება შევასრულოთ ორჯერ. შესაძლებელია მრუდის სისქის არჩევა.


მართკუთხედი . მაუსის კურსორი მოვათავსოთ სამუშაო არის იმ წერტილში, სადაც გვეგულება მართკუთხედის ერთ-ერთი წვერო. დავაჭიროთ მაუსის მარცხენა ღილაკს და თითის აუღებლად გადავადგილოთ კურსორი, სანამ არ აიგება საჭირო სიმაღლისა და სიგანის მართკუთხედი. თუ აგების პროცესში დაჭერილი გვექნება **Shift** კლავიში, აიგება კვადრატი.

მომრგვალებული მართკუთხედი  აიგება მართკუთხედის მსგავსად.

წრიული ფიგურა . მოვათავსოთ მაუსის კურსორი სამუშაო არეში, დავაჭიროთ მის მარცხენა ღილაკს და ასე გადავადგილოთ კურსორი საჭირო ზომისა და ფორმის ფიგურის აგებამდე. თუ აგების პროცესში დავაჭერთ **Shift** კლავიშს, აიგება წრე.

მრავალკუთხედი . დავაყენოთ მაუსის კურსორი სამუშაო არის იმ წერტილში, საიდანაც უნდა დავიწყოთ მრავალკუთხედის აგება. დავაჭიროთ მაუსის მარცხენა ღილაკს და ისე ავაგოთ მრავალკუთხედის პირველი გვერდი. გადავიტანოთ კურსორი იმ წერტილში, რომელშიც უნდა დასრულდეს მრავალკუთხედის მეორე გვერდი და დავაწკაპუნოთ მაუსის მარცხენა ღილაკს და ა.შ. აგება მთავრდება ბოლო წერტილში ორჯერ ან საწყის წერტილში ერთხელ დაწკაპუნებით.

მასშტაბის  არჩევა იწვევს ეკრანზე ნახატის ზომების შეცვლას შასაბამისად 2-ჯერ, 6-ჯერ და 8-ჯერ.



შევნიშნოთ, რომ ბოლო შესრულებული მოქმედების გაუქმება შეიძლება **Edit** მენიუს **Undo** ბრძანებით ან **Ctrl+Z** კლავიშების კომბინაციის აკრეფით.

შევარჩიოთ აირადი **A**. მისი საშუალებით შეიძლება **ნახატში ტექსტის ჩასმა**.



A ღილაკზე დაჭერისთანავე ინსტრუმენტების პანელის ქვედა ნაწილში შეიძლება წარწერის განთავსების რეჟიმის არჩევა: ტექსტი შეიძლება მოვათავსოთ ნახატის წინა პლანზე ან უკანა პლანზე (ნახატის ქვეშ).

სამუშაო არეში მოვნიშნოთ ჩარჩო, რომელშიც ჩაიწერება ტექსტი. ამავდროულად გააქტიურდება ფონტის, მისი ზომისა და სტილის ასარჩევი პანელი **Fonts**. ტექსტის აკრეფის შემდეგ ჩარჩოს გარეთ დავაწკაპუნოთ მაუსის მარცხენა ღილაკზე.


ნახატში შეიძლება ფიგურული ან მართკუთხა ფორმის **ფრაგმენტის გამოყოფა**. დავაყენოთ მაუსის კურსორი ნახატის საჭირო წერტილში, დავაჭიროთ მაუსის მარცხენა ღილაკს და ისე (თითის აუღებლად) მოვნიშნოთ სასურველი ფრაგმენტი:

თუ ვისარგებლებთ ნებისმიერი (ფიგურული)  გამოყოფით, უნდა შემოვხაზოთ გამოსაყოფი ფრაგმენტის ფორმის ჩაკეტილი კონტური; თუ კი ვიყენებთ მართკუთხა

 გამოყოფას, უნდა ავაგოთ ისეთი მართკუთხედი, რომელიც მთლიანად მოიცავს ფრაგმენტს.

ნახატის ფრაგმენტზე შეიძლება შევასრულოთ სხვადასხვა ოპერაციები:

- გადატანა. გამოვყოთ ნახატის ფრაგმენტი, მოვათავსოთ მასში მაუსის კურსორი, დავაჭიროთ მაუსის მარცხენა ღილაკს და ისე გადავიტანოთ ფრაგმენტი ახალ ადგილზე. ავუშვათ თითი მაუსის ღილაკს.
- ასლის აღება. თუ იგივე ოპერაციების შესრულების დროს გვექნება დაჭერილი **Ctrl** კლავიში, მივიღებთ ნახატის ფრაგმენტის ასლს.
- მობრუნება. გამოვყოთ ნახატის ფრაგმენტი და შევასრულოთ **Image** მენიუს **Flip/Rotate** ბრძანება (ან ავიღოთ **Ctrl+R** კლავიშების კომბინაცია). გამოსულ დიალოგურ ფანჯარაში **Flip and Rotate** ავირჩიოთ მობრუნების საჭირო მიმართულება და კუთხე.



- ფერის ინვერსია სრულდება **Image/Invert Colors** ბრძანებით ან **Ctrl+I** კლავიშების კომბინაციის აკრეფით.
- ფრაგმენტის ზომის შეცვლა შეიძლება **View** მენიუს **Zoom** ბრძანების შესრულებით.
- **Colors** მენიუს ბრძანება **Edit Colors** მოგვცემს ფერთა პალიტრის კორექტირების საშუალებას.
- ნახატის ფრაგმენტის ჩასმა სხვა ნახატში სრულდება შემდეგი თანმიმდევრობით:
 - გამოვყოთ ჩასასმელი ფრაგმენტი
 - შევასრულოთ ბრძანება **Edit/Cut** ფრაგმენტის გადატანის ან **Edit/Copy** ფრაგმენტის კოპირების დროს შესაბამისად. ორივე შემთხვევაში ფრაგმენტის ასლი მოთავსდება ბუფერში (დროებით მეხსიერებაში)
 - ბრძანებით **File/Open** გავხსნათ ფაილი, რომელშიც გვინდა ფრაგმენტის ჩასმა და შევასრულოთ **Edit/Paste** ბრძანება. ბუფერში შენახული ფრაგმენტი ჩაჯდება ახლად გახსნილი ნახატის ზედა მარცხენა კუთხეში.
 - გადავიტანოთ ჩასმული ფრაგმენტი საჭირო ადგილზე.

არსებობს იგივე მიზნის მიღწევის სხვა ხერხი: **Edit/Copy To** ბრძანების შესრულებით ფრაგმენტის შენახვა შეიძლება ცალკე ფაილში, ხოლო შემდეგ **Edit/Paste from** ბრძანებით - მისი ჩასმა სხვა ნახატში.

ნახატზე (ნახაზზე) მუშაობისას შეიძლება დაგვჭირდეს სამუშაო არის გასუფთავება. მაშინ უნდა შევასრულოთ ბრძანება **Image/Clear Image**.

ახალი ნახატის შექმნა იწყება **File/New** ბრძანების შესრულებით.


ნახატის შენახვა ხდება **File/Save as** ბრძანებით. **Save as** დიალოგური ფანჯარის **File Name** ველში შევიტანოთ ნახატის სასურველი სახელი და ავირჩიოთ ის საქაღალდე, რომელშიც ვინახავთ ნახატს. შემდეგ დავაჭიროთ ღილაკს **Save**.

ნახატში ცვლილების შესანახად უნდა შევასრულოთ ბრძანება **File/Save**.


არსებული ნახატის გახსნა შეიძლება **File/Open** ბრძანებით. **Open** დიალოგური ფანჯარის **File Name** ველში შევიტანოთ გასახსნელი ფაილის სახელი და დავაჭიროთ **Open** ღილაკს.

ტექსტური რედაქტორი WordPad. მენიუს მიმოხილვა, ფაილის შექმნა, რედაქტირება, ფორმატირება, ბეჭდვა, შენახვა, გახსნა.

Windows-ს სტანდარტული პროგრამა **WordPad** გამოიყენება მარტივი ტექსტური დოკუმენტის შესაქმნელად. შევასრულოთ ბრძანება **Start → Programs → Accessories → WordPad**. ეკრანზე გამოვა ფანჯარა სათაურით **Document – WordPad**.



WordPad-ის დოკუმენტის ფანჯარას გააჩნია **Windows**-ის სტანდარტული ფანჯრის ყველა ძირითადი ელემენტი, ამასთან, აქვს მთელი რიგი დამატებითი ელემენტებისა: სამუშაო არე, ინსტრუმენტების სტანდარტული პანელი, ფორმატირების პანელი, სახაზავი. **WordPad**-ის გახსნისას დოკუმენტის სამუშაო არეში მოჩანს მოციმციმე კურსორი | , რომელსაც უწოდებენ ჩასმის კურსორს. ჩასმის კურსორის პოზიციიდან იწყება კლავიატურიდან შეტანილი სიმბოლოების ბეჭდვა. სამუშაო არის ძირითად ნაწილში მაუსის მაჩვენებელს აქვს **I** ფორმა, მაგრამ თუ მივიყვანთ მაუსს დოკუმენტის მარცხენა კიდეში, იგი მიიღებს ზევით და მარჯვნივ მიმართული ისრის ფორმას.

ტექსტი შეიძლება შეიცავდეს ინგლისურ სიმბოლოებს, ფიგურულ სიმბოლოებს, ქართულ სიმბოლოებს და სხვა. სიმბოლოების სტილის (ამბობენ შრიფტის) არჩევა ხდება ფორმატირების პანელის  ჩამოშლადი მენიუდან. შრიფტის ზომის დაყენება კი -  მენიუდან.

ავირჩიოთ ქართული შრიფტი **AcadMtavr** , ზომა 12 და ავკრიფოთ წინადადება. მოვახდინოთ წინადადების კოპირება რამდენიმეჯერ. ამისათვის ტექსტი უნდა მოვნიშნოთ. საზოგადოდ, სანამ დოკუმენტის ნაწილზე მოვახდენთ რაიმე მოქმედებას (რედაქტირებას, ფორმატირებას, კოპირებას), იგი უნდა მოვნიშნოთ. მონიშვნა მაუსის საშუალებით ხდება სხვადასხვა ხერხით:

- მივიყვანოთ მაუსის კურსორი მოსანიშნი ფრაგმენტის დასაწყისში, დავაჭიროთ **Shift** კლავიშს და დავაყენოთ მაუსის კურსორი ფრაგმენტის ბოლოს;
- დავაყენოთ მაუსის კურსორი ფრაგმენტის დასაწყისში (ან ბოლოში), დავაჭიროთ მაუსის მარცხენა ღილაკს და მის აუშვებლად გადავათრიოთ მაუსი საჭირო მიმართულებით;
- მივიყვანოთ მაუსის კურსორი დოკუმენტის ფანჯრის მარცხენა კიდეში. კურსორი მიიღებს ზევით და მარჯვნივ მიმართული ისრის სახეს. ერთმაგი დაწკაპუნებით მოინიშნება ერთი სტრიქონი, ორმაგი დაწკაპუნებით - აბზაცი (ერთი **Enter**-იდან მეორე **Enter**-მდე ტექსტის ნაწილი), სამმაგი დაწკაპუნებით კი - მთლიანი ტექსტი.


წინადადების მონიშვნის შემდეგ შევასრულოთ ბრძანება **Edit/Copy** (ან **Ctrl+C**, **Ctrl+Insert**, ) , დავაყენოთ მაუსის მაჩვენებელი საჭირო ადგილას და შევასრულოთ ბრძანება **Edit/Paste** (ან **Ctrl+V**, **Shift+Insert**, ) .

მოვახდინოთ ტექსტის ფორმატირება: შევუცვალოთ შრიფტს ზომა, გავამუქოთ წინადადება (დავაჭიროთ ღილაკს  **B Bold**), დავხაროთ იგი (ღილაკი  **Italic**), გავხაზოთ (ღილაკი  **U Underline**), შევცვალოთ ტექსტის ფერი (ღილაკი  **Color**).

ღილაკების შემდეგი ჯგუფი გვამღებს საშუალებას: გავასწოროთ ტექსტი მარცხენა კიდეზე (ღილაკი  **Align Left**), მარჯვენა კიდეზე (ღილაკი  **Align Right**) ან მოვახდინოთ ცენტრირება (ღილაკი  **Center**).

ფორმატირების პანელის ღილაკი  **Bullet Style** გვებმარება მონიშნული და სტრიქონებად დაყოფილი ტექსტის გარდაქმნაში ჩამონათვალის სახით.

დოკუმენტში შეგვიძლია ჩავსვათ მიმდინარე თარიღი (სხვადასხვა ფორმით) ან ობიექტი (მაგალითად, ნახატი, ცხრილი და სხვა). ამისათვის უნდა შევასრულოთ **Insert** მენიუს შესაბამისი ბრძანება.



ტექსტის ფრაგმენტის გადასატანად იგი უნდა მოვნიშნოთ, შევასრულოთ ბრძანება **Edit/Cut** (ან **Ctrl+X**, **Shift+Delete**, ) , დავაყენოთ მაუსის კურსორი საჭირო ადგილას და შევასრულოთ ბრძანება **Edit/Paste** (ან **Ctrl+V**, **Shift+Insert**, ) .

ტექსტის რედაქტირება ნიშნავს მასში ცვლილებების შეტანას. თუ გვსურს რომელიმე ფრაგმენტის მთლიანად შეცვლა, უნდა მოვნიშნოთ იგი და დავიწყოთ ახალი ტექსტის აკრეფა: კლავიატურის პირველივე ღილაკის დაჭერისას ძველი ფრაგმენტი იშლება.

თუ მაუსის კურსორს დავაყენებთ ტექსტზე და დავაწკაპუნებთ მაუსის მარცხენა ღილაკზე, ამ ადგილას მოხდება ჩასნის კურსორის დაყენება. კლავიშით **Delete** იშლება ჩასნის კურსორის მარჯვნივ მდგომი სიმბოლო, ხოლო კლავიშით **Backspace** ხდება ჩასნის კურსორის მარცხნივ მდგომი სიმბოლოს წაშლა.

ბოლო ბრძანების გაუქმება სრულდება ბრძანებით **Edit/Undo** (ან **Ctrl+Z**).

WordPad-ის ახალი დოკუმენტის შექმნისათვის უნდა შევასრულოთ ბრძანება **File/New** (**Ctrl+N**) ან დავაჭიროთ ინსტრუმენტების პანელზე  ღილაკს. არსებული დოკუმენტის გახსნა შეიძლება **File/Open** (**Ctrl+O**) ბრძანების შესრულებით ან ინსტრუმენტების პანელზე  ღილაკის დაჭერით. შექმნილი დოკუმენტის შენახვა პირველად სრულდება **File/Save As** ბრძანებით, ხოლო ხელახალი შენახვა დოკუმენტში ცვლილებების შეტანის შემდეგ - **File/Save** (**Ctrl+S**) ბრძანებით ან ინსტრუმენტების პანელზე  ღილაკის საშუალებით.

სავარჯიშოები:

 გააქტიურეთ **Windows**-ის სტანდარტული პროგრამა **Paint**. აირჩიეთ ინსტრუმენტი - სწორი ხაზი, ხაზის სისქე და ფერი, გაავლეთ სწორი ხაზი სამუშაო არეში. აირჩიეთ ინსტრუმენტი - მრუდი, გასავლელი მრუდის ფერი და სისქე. გაავლეთ სწორი ხაზი და შემდეგ გაამრუდეთ იგი.

 აირჩიეთ ინსტრუმენტი - წრიული ფიგურა, დახატეთ სამუშაო არეში ელიფსი და წრე. შეურჩიეთ თითოეულს კონტურის ფერი და შიგთავსის ფერი.

 დახატეთ სამუშაო არეში მართკუთხედი, მომრგვალებული მართკუთხედი, კვადრატი და მომრგვალებული კვადრატი. გააფერადეთ ფიგურები და მათი კონტურები. მიუწერეთ თითოეულ ფიგურას მისი დასახელება.


❏ ფანქრისა და ფუნჯის გამოყენებით დახატეთ სამუშაო არეში. ნახატის შექმნისას გამოიყენეთ ფერების პალიტრა. ხატვის პროცესში გამოიყენეთ საშლელი ან წინა მოქმედების გაუქმების ბრძანება სადაც საჭირო იქნება.

❏ მოახდინეთ ნახატის ნებისმიერი ფრაგმენტის გამოყოფა, გადაიტანეთ ფრაგმენტი ნახატის სხვა ადგილში. მოაბრუნეთ ფრაგმენტი 90°-იანი, 180°-იანი, 270°-იანი კუთხით.

❏ მოახდინეთ ნახატის მართკუთხა გამოყოფა, გადააკოპირეთ ფრაგმენტი ნახატის რამდენიმე ადგილას.

❏ ამოჭერით ნახატიდან ნებისმიერი ფრაგმენტი და შეინახეთ ახალ ფაილში.

❏ დახატეთ და შეინახეთ თქვენი ნახატები



❏ გახსენით **WordPad**-ის ახალი დოკუმენტი, აკრიფეთ ტექსტი, მოახდინეთ ტექსტის რედაქტირება. გადააკოპირეთ აკრეფილი ტექსტი 3-ჯერ. ტექსტის ერთი ნაწილი გაასწორეთ მარცხენა კიდეზე, მეორე - მარჯვენა კიდეზე, მესამე კი - გააცენტრეთ. შეინახეთ შექმნილი დოკუმენტი ფაილის სახით.

❏ გახსენით შექმნილი დოკუმენტი და გარდაქმენით ტექსტის ფრაგმენტი: მოახდინეთ ფრაგმენტის გამუქება, დახრა, ქვედა ხაზგასმა, სიმბოლოების ფერის შეცვლა. თითოეული მოქმედების შემდეგ შეინახეთ ცვლილება.

❏ დააყენეთ ჩასმის კურსორი ტექსტის რომელიმე სიტყვის დასაწყისში და აიღეთ კლავიშების კომბინაცია **Ctrl+Delete**. გააუქმეთ წინა მოქმედება. ახლა დააყენეთ ჩასმის კურსორი სიტყვის შუაში და ისევ აიღეთ კლავიშების კომბინაცია **Ctrl+Delete**. როგორ გარდაიქმნა ტექსტი ორივე შემთხვევაში?

❏ დააყენეთ ჩასმის კურსორი ტექსტის რომელიმე სიტყვის ბოლოში და აიღეთ კლავიშების კომბინაცია **Ctrl+ Backspace**. გააუქმეთ წინა მოქმედება. შემდეგ დააყენეთ ჩასმის კურსორი სიტყვის შუაში და ისევ აიღეთ კლავიშების კომბინაცია **Ctrl+ Backspace**. როგორ გარდაიქმნა ტექსტი ორივე შემთხვევაში?

❏ ტექსტის ნაწილი შეცვალეთ მთლიანად. ამოჭერით ტექსტის ფრაგმენტი. გადაიტანეთ პირველი წინადადება ტექსტის ბოლოში. ტექსტის მეორე წინადადება 2-ჯერ მოათავსეთ ტექსტის ბოლოში ისე, რომ წინადადება თავის ადგილზეც დარჩეს.

❏ ჩასვით ტექსტში მზა ნახატი, თქვენს მიერ შექმნილი ნახატი. ჩასვით დოკუმენტში მიმდინარე თარიღი სხვადასხვა ფორმით. ჩასვით დოკუმენტში ცხრილი.

მიმდინარე ტესტირება:

1. როგორ გავააქტიუროთ პროგრამა **Paint** ?
2. სად არის განთავსებული **Paint**-ის ინსტრუმენტების პანელი?
3. რას ემსახურება **Paint**-ის ფერების პალიტრა?
4. როგორ შევცვალოთ ნახატის ძირითადი ფერი?
5. როგორ შევცვალოთ ნახატის ფონის ფერი?
6. რომელი ფერი იქნება აქტიური, თუ სამუშაოდ ავირჩევთ მაუსის მარცხენა ღილაკს?

7. რომელი ფერი იქნება აქტიური, თუ სამუშაოდ ავირჩევთ მაუსის მარჯვენა ღილაკს?
8. როგორ ავამოქმედოთ ფანქარი? ავირჩიოთ ფუნჯი?
9. საიდან ხდება ფუნჯის დამატებითი თვისებების დაყენება?
10. როგორ მოქმედებს საშლელი?
11. როგორ შევცვალოთ საშლელის ზომა?
12. რისთვის გამოიყენება ინსტრუმენტების პანელის იარაღი - პიპეტი?
13. რისთვის გამოიყენება აეროზოლის ბალონი?
14. რისთვის გამოიყენება საღებავის ქილა?
15. როგორ დავხატოთ სამუშაო არეში სწორი ხაზი?
16. როგორ იხატება მრუდი?
17. რა მოქმედებები უნდა შევასრულოთ, რომ სამუშაო არეში დაიხატოს მართკუთხედი? კვადრატი?
18. როგორ ავაგოთ წრე?
19. როგორ დავხატოთ მომრგვალებული მართკუთხედი? მომრგვალებული კვადრატი?
20. რისთვის და როგორ გამოიყენება  იარაღი ?
21. რის საშუალებას გვაძლევს  იარაღი ?
22. ჩამოთვალეთ ბოლო მოქმედების გაუქმების ყველა თქვენთვის ცნობილი გზა.
23. როგორ ჩავსვათ ნახატში ტექსტი?
24. რას ემსახურება ინსტრუმენტების პანელზე  იარაღი?
25. რას ემსახურება ინსტრუმენტების პანელზე  იარაღი?
26. როგორ მოვახდინოთ გამოყოფილი ფრაგმენტის გადატანა?
27. როგორ მოვახდინოთ გამოყოფილი ფრაგმენტის ასლის შექმნა?
28. რომელი ბრძანება გვაძლევს საშუალებას ფრაგმენტის მობრუნებისა?
29. კლავიშების რა კომბინაციის ადებით შეიძლება გამოვიძახოთ დიალოგური ფანჯარა **Flip and Rotate**?
30. როგორ მოვახდინოთ ნახატის ფერის ინვერსია?
31. როგორ შევცვალოთ ფრაგმენტის ზომა სამუშაო არეში?
32. რას ემსახურება ბრძანება **Colors/Edit Colors** ?
33. როგორ ხდება ნახატის ფრაგმენტის ჩასმა სხვა ნახატში?
34. როგორ შევინახოთ ნახატის ფრაგმენტი ახალი ფაილის სახით?
35. როგორ შევინახოთ ცვლილებები ნახატში?
36. რისთვის გამოიყენება პროგრამა **WordPad** ?
37. როგორ გამოვიძახოთ პროგრამა **WordPad** ?
38. როგორ შევცვალოთ შრიფტი? შრიფტის ზომა?
39. როგორ მოვნიშნოთ ტექსტის ნაწილი? ჩამოთვალეთ ყველა თქვენთვის ცნობილი ხერხი.
40. როგორ გადავიტანოთ ტექსტის ნაწილი დოკუმენტის ახალ ადგილზე?
41. როგორ შევქმნათ ტექსტის ნაწილის ასლი დოკუმენტის სხვა ადგილზე?
42. რისთვის გამოიყენება  ღილაკი?
43. რას ემსახურება  ღილაკი?
44. რის საშუალებას გვაძლევს  ღილაკი?
45. როგორ შევცვალოთ ტექსტის ფერი?

46. როგორ გავასწოროთ ტექსტის ფრაგმენტი მარცხენა კიდეზე?
47. როგორ გავასწოროთ ტექსტის ფრაგმენტი მარჯვენა კიდეზე?
48. როგორ მოვახდინოთ ტექსტის ფრაგმენტის ცენტრირება?
49. რისთვის გამოიყენება  ღილაკი?
50. როგორ წავშალოთ სიმბოლო ჩასმის კურსორის მარჯვნივ?
51. როგორ წავშალოთ სიმბოლო ჩასმის კურსორის მარცხნივ?
52. რომელი ბრძანება ასრულებს  ღილაკის ანალოგიურ მოქმედებას?
53. რომელი ბრძანება ასრულებს  ღილაკის ანალოგიურ მოქმედებას?
54. რისთვის გამოიყენება  ღილაკი?
55. რომელი ბრძანებით შეიძლება შევცვალოთ  ღილაკის მოქმედება?